21/04/2020

მარტყოფის მონასტერში რვა სასულიერო პირი თვითიზოლაციაში იმყოფება

მარტყოფის ღვთაების მონასტერში რვა სასულიერო პირი თვითიზოლაციაში იმყოფება. ამის შესახებ საქართველოს პირველ არხს ინფორმაცია ქვემო ქართლის გუბერნიაში დაუდასტურეს.

სასულიერო პირების თვითიზოლაციაში გადასვლა მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც 11 აპრილს ერთ-ერთ მოძღვართან აღსარებაზე მისულ ქალს ორი დღის შემდეგ „კოვიდ-19“ დაუდასტურდა.

„ისინი პრევენციულად არიან თვითიზოლაციაში. ჩემი ინფორმაციით, რაიმე სიმპტომი არ დასტურდება. თუკი რაიმე იქნება საჭიროება, ბუნებრივია, იქ გამკაცრდება ზომებიც და კონტროლიც“, – განაცხადა ქვემო ქართლის გუბერნატორმა შოთა რეხვიაშვილმა.

— 1tv.ge